

შპს „ათენკ“

ს/კ 406078113

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2021 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

„ათენკ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, თენგიზ ჩანტლადის ქ. 1ბ.

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, თენგიზ ჩანტლადის ქ. 1ბ.

მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო/საბითუმო ვაჭრობა/წარმოება ძეხვეულით და ხორცპროდუქტებით, როგორც საქართველოს ფარგლებს შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ექსპორტირება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

2.1 ამონაგების აღიარება

მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი ამონაგები აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევის დასრულებისას.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.2 მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს.



2.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მისაყვანად ასევე დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს

შენობა-ნაგებობები (დაუმთავრებელი მშენებლობა)	5-0 პროცენტი
სატრანსპორტო საშუალებები	20 პროცენტი
სხვა ძირითადი საშუალებები	15-20 პროცენტი

2.4 არამატერიალური აქტივები


არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას (ლიცენზიას), რომელიც პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია განსაზღვრულია ნარჩენი ღირებულებით. სასარგებლო გამოყენების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

2.5 იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.6 სავაჭრო ვალდებულებები



სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. შაკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა არასაოპერაციო მოგებაში ან სხვა არასაოპერაციო ზარალში.

2.7 საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდზე გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების დარიცხულ და გადასახდელ თანხებს, რომელიც აღიარდება საპროცენტო ხარჯებში.



3. დივიდენდების გადახდა

დივიდენდის განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მას ამტკიცებენ კომპანიის დამფუძნებლები. შესაბამისი თანხის აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში.

4. ამონაგები

	2021
საქონლის რეალიზაცია	21,120,854
სხვა	2,300
<u>სულ</u>	<u>21,123,154</u>

კომპანიას ახორციელებს როგორც ქვეყნის შიდა ტერიტორიის ფარგლებში რეალიზაციებს (ბრუნვა რომელიც ექვემდებარება 18%-იანი განაკვეთით დასაბეგრ ოპერაციებს), ასევე ქვეყნის გარეთ საქონლის მიწოდების (ექსპორტი/რეექსპორტის) ოპერაციებს (გათავისუფლებული ჩათვლის უფლებით).

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები მოიცავს 2021 წლის არასაოპერაციო შემოსავლებს.



6. საბიუჯეტო გადასახადები

	2021	2020
სხვა საგადასახადო კალდებულებები	16,606	35,434

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	2,236	179,070
გადახდილი ავანსები	18,079	2,326,120
	<u>20,315</u>	<u>2,505,190</u>

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2021	2020
სხვა მიმდინარე აქტივები	2,074,305	2,050,869
	<u>2,074,305</u>	<u>2,050,869</u>



9. ძირითადი საშუალებები

	დაუძთავრ ებელი შენიშნუ ბა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი სა შუალებები
	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2021წ.	3,350,196	70,273	566,842
შემოსვლა	108,155	53,507	124,322
გასვლა	()	()	(1,602)
31 დეკემბერი, 2021წ.	3,458,351	123,780	689,562
 დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი, 2021წ.	()	52,237	63,058
წლიური ცვეთა	()	12,882	66,742
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2021წ.	()	65,119	129,800
 საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2021წ.	3,458,351	58,661	559,762

10. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა/ლიცენზია:

თვითღირებულება

1 იანვარი, 2021წ.	2,593
შემოსვლა	847
გასვლა	0
31 დეკემბერი, 2021წ.	3,440

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

1 იანვარი, 2021წ.	1,270
წლიური ამორტიზაცია	264
31 დეკემბერი, 2021წ.	1,534

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი, 2021	1,906
--------------------	-------

11. გრძელვადიანი სესხები


	2021 ლარი	2020 ლარი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (გადასახდელი პროცენტების ჩათვლით)	5,005,234	4,898,985

12. სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები შეადგენს 1,524,833 ლარს. ხოლო 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 6,478,226 ლარს შეადგენდა.

13. იჯარის ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ოფისი და მაღაზიის ფართი. ამ იჯარის ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა. 2021 წლის განმავლობაში იჯარით აღებული ფართის თანხამ შეადგინა 124,500 ლარი, რომელიც ასახულია საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებში.



14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021	2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,127,238	1,253,511

2,127,238	1,253,511
-----------	-----------

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაანგარიშდება და აისახება საკუროსო სხაობები სხვა არასაოპერაციო შემოსავალში ან სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.



საქართველოს
ფინანსთა
მინისტრო

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისიგამოცემის
ნებართვა გასცა 2022 წლის 30 სექტემბერს.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (შპს ათენკ / 406078113)

აქტივები	შენიშვნები	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	2,127,238	1,253,511	1,305,334
სავაჭრო მოთხოვნები		2,236	179,070	165,404
გადახდილი ავანსები		18,079	2,326,120	404,469
სხვა მიმდინარე აქტივები	8	2,365,451	2,052,814	2,086,599
სხვა არამატერიალური აქტივები	2.4, 10	1,906	0	0
ძირითადი საშუალებები	2.3, 9	4,076,774	3,873,338	3,652,461
სულ აქტივები		8,591,684	9,684,853	7,614,267

ვალდებულებები		31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	2.6, 12	1,524,833	6,478,226	4,061,834
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	6	16,606	35,434	52,448
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მიმდინარე (მოკლევადიანი) სასესხო ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	5,005,234	4,898,985	4,762,843
სხვა ვალდებულებები		4,910,688	1,281,933	1,964
სულ ვალდებულებები		11,457,361	12,694,578	8,879,089

საკუთარი კაპიტალი		31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალი)		1,173,055	1,173,055	1,173,055
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(4,038,732)	(4,182,780)	(2,437,877)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
საკუთარი კაპიტალი		(2,865,677)	(3,009,725)	(1,264,822)

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8,591,684	9,684,853	7,614,267
---	--	------------------	------------------	------------------



საქმიანობის შედეგები (შპს ათენკ / 406078113)

	შენიშვნა	2021	2020
ნეტო ამონაგები	2.1, 4	21,123,154	9,644,904
საქონლის რეალიზაციიდან		21,120,854	9,644,904
მომსაურების გაწევიდან		2,300	0
სხვა		0	0
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(19,911,087)	(9,347,476)
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საერთო მოგება		1,212,067	297,428
სხვა შემოსავალი	5	1,832,350	1,500,253
დასაქმებულთა ანაზღაურება		(538,080)	(336,597)
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(79,889)	(52,599)
საპროცენტო ხარჯი	2.7	(334,234)	(329,056)
საპროცენტო შემოსავალი		4,595	0
იჯარის ხარჯი	13	(124,500)	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(1,944,874)	(2,824,332)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,184,632)	(2,042,331)
საოპერაციო მოგება		27,435	(1,744,903)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)		0	0
სავალუტო ოპერაციებიდან			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		27,435	(1,744,903)
მოგების გადასახადი	2.2	0	0
მოგება / (ზარალი)		27,435	(1,744,903)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი		(3,009,725)	(1,264,822)
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		116,613	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		(2,865,677)	(3,009,725)

